

რეპროდუქციული ჯანმრთელობა და სარისკო სექსუალური ქცევა
ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებში

ნინო ბაშარული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბაშარული

22.06.2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საქართველოს ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების მდგომარეობა და წარმოდგენილია მათი რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სარისკო სექსუალური ქცევების კვლევა. აღნიშნული კვლევა არის ფართო მასშტაბიანი კვლევის ნაწილი, რომელიც ხორციელდება სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის მიერ.

ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი საკითხები, როგორც არის სარისკო სექსუალური ქცევის მიზეზები, ტიპები, თავისებურებები და რისკები, ახალგაზრდებისა და სერვისის მიმწოდებლების ინფორმირებულობის დონე და გზები, პრევენციული ზომების არსებობა და ეფექტურობა.

ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდით, ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდებისთვის სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებთან, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ ახალგაზრდებთან და მათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

კვლევის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ თავად სერვისის მიმწოდებლებში არსებობს სტიგმატური დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის ახალი პრევენციული ზომების შემუშავებასა და არსებულის ეფექტურობას. ასევე, არ არსებობს დახვეწილი მიდგომები ახალგაზრდებთან სამუშაოდ და ხშირად პრობლემა რჩება პრობლემად.

შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე, ნაშრომის ბოლო თავში, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვისა და სფეროს სპეციალისტებისთვის წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს როგორც სერვისების მიწოდებას ასევე ცნობიერების ამაღლებას.

საძიებო სიტყვები: ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები; რეპროდუქციული ჯანმრთელობა; სარისკო სექსუალური ქცევა; არასრულწლოვანთა პროსტიტუცია; პრევენცია.

Abstract

The present study discusses the condition of reproductive health and risky sexual behaviors of street-involved youth in Georgia. Represented study is a part of a long-term and wide ranging research, carried out by the Research center for advancing science in social services and interventions.

The study deals with issues such as the causes, types, characteristics and risks of risky sexual behavior, the level of awareness of youth and service providers, existence and effectiveness of preventive measures.

Qualitative research was conducted using semi-structured interview method with service providers, who have direct contact with street-involved children and youth and their everyday life.

Current study shows that, among service providers there is a stigmatical attitude towards sexual behavior issues, which prevents them from elaborating new and effective prevention measures. In addition, there are no complex and sophisticated approaches to work with street-related young people and often problem remains a problem.

Based on the results and conclusions, in the last chapter of the study, recommendations are represented for service suppliers and field specialists. Recommendations include availability of different services as well as awareness raising.

Key words: *street-youth; reproductive health; risky sexual behavior; underage prostitution; prevention.*